ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲪᲮᲠᲛ. № 420

ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ. 26 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ 1874

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

Ბაგზავნით: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მ ნ., სამი თვით — ერთი მ ნ. და ხუთმეტი შაური. ერთი თვით — სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

Თფილისში: Გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: Ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

Გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი იუსტიტუტის ქუჩაზედ. Სოლოლაკნ მცირეთაოვის სახლეში. Ადგილი: Ივერიის ბიბლიოთეკაში. Სასახლის ძეიდანზე, ძაბუროვის სახლეში.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡ:

Ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: Თფილისი, 26 აპრილს — წერილი ამბები — „დროების“ კორრესპონდენცია: Უვირილიდგან — ორიოდე სიტყვა ქუთაისელი კორრესპონდენციისა გამო — **რ უ ს ე თ ი:** წერილი ამბები — **Უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი:** საფრანგეთი Გერმანია — Ესპანია — განცხადებანი

ფ ე ლ ტ ო ნ ი ს ა: ოთხმოცდა ცამეტი, რომანი ვიქტორ ჰიუგოსი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

Თფილისი 26 აპრილს, 1874 წ.

სხვა ქვეყნებში, საცა დიდი სოფლებია, ან პატარაები, მაგრამ ხშირი, იქადვილია შკოლის გაკეთება. დიდრონი სოფლებისთვის ძნელი არ არის ხეირიანი მასწავლებელის დასაქირავებელი და შკოლის ყოველ წლივ ხელის გასაწყობი ფულის გარდ ხდა, — ეს გარდა ამ ხადი თითეულს ოჯახს მძიმე ტვირთად არ დააწვება. პატარა სოფლებიც კი ახერხებენ ამ საქმეს: ისინი შეამხანაგდებიან და ერთ ადგილას საერთო შკოლას იკეთებენ. ჩვენში სულ სხვაა, ამიტომ რომ ქართლ-კახეთში დიდრონი სოფლები ბევრი არ არის; იმერეთში, ზურიაში და სამეგრელოში არა თუ დიდ სოფლებს პატარეებსაც ძლივს იპოვის კაცი რაჭასა და ზემო იმერეთს გარდა. აქ თითოეული სოფელი, ნამეტნავად მთიან ადგილებში ისე გაფანტულია, შკოლისთვის კი არა, ეკლესიისათვისაც ძლივს მოუნახავთ შუა ალაგი, რომელიც ყველას ეხეროობოდეს.

შეაღლესი მმართებლობის ბრძანებით და ამისგამო უმახლობელესი მთავრობის თავ გამოდებით მოიკალს: სოფელს აუშენებიან ჩვენში შკოლები, მაგრამ საქმე ძალიან ცუდად არის აქამდისაც. ამისი მიზეზი სოფლების სიღარიბეა რასაკვირველია. ამათ იმდენი ღონე არა აქვთ, რომ ხეირიანი მასწავლებელი იყოლიონ; მაგრამ რადგანაც მთავრობა შკოლის გახსნას ეუბნება, ისინიც უარზედ აღარ სდგანან და გაჭირვებით შეკრებილს სამასწავლებლო ქირას სოფლის სასამართლოს მწერალს, ან და სამრევლო მღვდელს აძლევენ. ესენი სრულიად არ არიან სამასწავლებლოდ მომზადებულნი, განსაკუთრებით პირველები. ხალხი სარგებლობას ვერ ხედავს იმათის სწავლებისაგან და ამიტომ შკოლის საქმეს გულგრილად ეკიდება, მეტადრე იმიტომ რომ შკოლას ვალდებულებად სთვლის.

ვის ხელშიაც შკოლის საქმეა, იმათ ძალიან კარგად უნდა იცოდნენ ეს ამბავი და ადგილობრივის გარემოების დაგვარად იქცეოდნენ. თუ ერთს სოფელს მკვიდრი შკოლის გაკეთება არ შეუძლიან, რამდენიმე სოფლის ფულით ხეირიანი მოძრავი შკოლა გააკეთონ, რომელიც ათს უხეირო მკვიდრს შკოლას ემჯობინება. ძალიან შესაძლებელია, რომ თვითონ მთავრობას ამ გვარი შკოლების გაკეთება მხედველობაში არა ჰქონდეს. ეს შემთხვევაში კარგი იქნებოდა, რომ სახალხო შკოლების მოთავე მოსამსახურე კაცები მსუბუქელებს ნებას მაინც მისცემდ ნ.

ჩვენში სოფლა-სოფლად ბევრი ნაწ�lebelad გამოგზავნა. ის ნახავს ამ ტყეში ერთ დატანჯულ, ტანისამოს შემოგლეჯილ ქალს, სამის პატარა შვილითა

— ვინ ხარ შენ, ქალო? ჰკითხავს ჯარის უფროსი

— მიშველ ფლეშარი.

— რა პოლიტიკური აზრებისა ხარ!

— პატარაობითვე მე მონასტერში შემამწყვდიეს. მე შევირთე ქმარი ჩვენ სოფელ ცეცხლი მოუკიდეს. მე ისე საჩქაროთ გამოვიქეცი, რომ ბაშმაკის ჩაცმაც ვერ მოვასწარ.

— მე შენ პოლიტიკურ აზრებსა ჰკითხავ?

— მე რა ვიცი.

— შენი სამშობლო ქვეყანა რომელია?

— არ ვიცი.

— როგორ! არ იცი, სადაური ხარ?

— ჰო, სადაური ვარ? მე სისკუანარელი ვარ.

— ნათესავები, მშობლები არავინა გყვავს?

— ყველანი დაიხოცნენ.

— შენ ძუძუ-მწოვარს რა ჰქვიან?

— ჟორჟეტ.

— მეორეს?

— რენე-ჟან.

— უფროს ვაჟს?

— ბრო-ალენ.

— აქ რას აკეთებ? რატომ შენ სახლში არა ხარ?

— იმიტომ რომ სახლს ცეცხლი წაუკიდეს, სთქვა ხვნეშით ქალმა.

— ვინ წაუკიდა?

— არ ვიცი.

— სთქვი: რა ხარ? მტრედის ფერი (რესპუბლიკელი) ხარ, თუ თეთრი (ძეფის მოჰხრე)?

— არ ვიცი.

— შენი დედ-მამა, შენი ქმარი ვინ იყო?

— მიწის მომუშავენი მამა ჩემი დამახინჯებული კუტი იყო; ერთხელ ჩვენი ბატონის სანადირო ტყეში კურდღელი მოკლა და ბ ტონმა ამისთვის ასი ჯოხი დაჰკრა. ჩვენი ბატონი ძალიან კეთილი იყო; სიკეთილით დასჯის ბაგირათ, მხოლოთ ასი ჯოხი დაჰკრა. პაპა ჩემი მღვდლებმა გალერში გაგზავნეს. ჩემი მამამთილი ხელმწიფემ ჩამაახრჩობინა, და ჩემი ქმარი, სანამ არ მოკლეს, ხელმწიფისთვის, თავის ბატონისთვის და სამღვდელოებისთვის იბრძოდა.

ბატალიონმა წამოიყვანა თან ეს ქალი და იმის სამი ყმაწვილი იშვილა.

სცენა იცვლება. Inგლისის ერთი კუნძულიდამ ერთი სამხედრო ხომალდი მიდის; ეს ხომალდი ვანდეს უნდა მიადგეს და უნდა მიეშველოს იმათ, ვინც მეფის მომხსენობას აცხადებენ. Iმაში სხვათა შორის ერთი გლეხურათ გარდაცმული მოხუცებული კაცი ზის, რომელსაც დანარჩენი მოგზაურები განსაკუთრებელ კრძალვას და პატივს უცხადებენ. პარიჟის რესპუბლიკურმა მმართებლობამ (კონვენტმა) შეიტყო ეს ამბავი და თავის წარმომადგენელს ვანდეში გაუგზავნა ბრძანება, რომ „ხომალდი დაიჭირეთ, იქ მსხდომელ მოხუცებულ კაცს თავი მოსჭერითო.“ შუა ზღვაში რომ იყო ხომალდი, ამ დროს უცერათ მეზარბაზნის დაუდეკრობით ერთი ზარბაზნის ჭახრაკი დატრიალდა, ზარბაზანი მოსცლდა მიკრულ ალაგს და დაიწყო ხომალდის ბანზე ტრიალი; ხან ერთ კედელს მივარდებოდა საშინელის ძალით და ხან მეორეს. რამდენიმე სხვა ზარბაზანი სრულებით გაფუჭა, რამდენ მე კაცი მოჰკლა. შეიქნა საშინელი არეულება. ვერაფრით ვერ გააჩერეს ეს ზარბაზანი. ბოლოს თვითონ ის მეზარბაზნე, რომლის დუდეურობით ეს უბედურება მოხდა, შეაჯდა ზარბაზნის ურემს, მოსდგა ქვეშ ჭახრაკთან რკინის კეტი და როგორც იყო გაჩერა. ყველა გაკვირვებული იყო ამ სალდათის სიმხნით და თავგანწირულებით. კაპიტანმა მოხუცებულ კაცს წარუდგინა ის დასაჯილდოებელად.

მოხუცებულმა გარდახედა მეზარბაზნე სალდათს.

— აქეთ მოხლოვდი.

მეზარბაზნემ ერთი ნაბიჯი წინ გარდადგა.

მოხუცებულმა მიიბრუნა უკან პირი, ჩამოხადა კაპიტანს, წაიხდა ლენტ-ჯვარი და მეზარბაზნეს დ ჰკიდა გულზე. „ურრაო!“ დაიძახა ყველა ხომალდში მყოფთა.

— ეხლა დაჰხვრიტეთ ეს ძეზარბაზნეო! დაიძახა მოხუცებულმა.

ერთ წამს ყველა შეკრთა. მაგრამ მოხუცებულის ბრძანების წინააღმდეგობა ვერ ვინ გაბედა: მეზარბაზნე დახვრიტეს და ზღვაში გარდაგდეს.

ხომალდი საფრანგეთის ნაპირებს უახლოვდება. მოხუცებული უნდა მიადგეს ვანდეს, აალვოს ეს მხარე და მერე, თუ ბედი გაულიმებს, პარიჟში შევიდეს „სამეფო და საკათოლიკო“ ჯარით და კონვენტის და რესპუბლიკის ბაგირად, ისევ ძველი წესები და გილიოტინით თავ მოჭრილი ლუი მეთექვსმეტის ვაჟი უნდა დასვას საფრანგეთის ტახტზე. აი, იმის განზრახვა. მაგრამ იმ ალაგთან, სადაც ისინი მიადგნენ, რესპუბლიკის ხომალდები მოელის იმათ. ოცდათი ზარბაზნის მგიერათ, იმას მარტო ცხრა დარჩ, საუკეთესო მატროსები და მეზარბაზნეები აწყვეტილმა ზარბაზანმა დახოცა. კონვენტის ხომალდებზე კი 380 ზარბაზანია. ზღვა ღელავს. უკან დაბრუნება შეუძლებელია. წინ ნამდვილი დაღუპვა მოელის ხომალდს და იმის მოგზაურებმა. ბარდაწყვეტეს: უნდა ესროლაო ზარბაზნები, შეეჭიანათ მტერი და სანამ ბრძოლა გაიავდებოდა, სანამ ამ ერთ ხომალდს დაღუპავდნენ, მანამ მოხუცებული უნდა ჩამსხდარიყო პატარა ნავში, გაქცეულიყო და სადმე მიეყრუებულს ნაპირს მისდგომოდა.

„შენ სარდალი ხარ. შენი სიკვდილი სამღვთო და სამეფო საქმეს ავნებს. ჩვენ უბრალო სალდათები ვართო, ამბობდნენ ხომალდს მოგზაურები; ჩვენი სიკვდილით ჩვენ წმინდა საქმეს არ დააკლდება რაო.“

მოხუცებული დათანხმდა. ვინ არის თქვენში მამაცი, მიმართა სალდათებს და მატროსებს უფროსმა:

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲝᲗᲮᲛᲝᲪ-ᲓᲐ-ᲪᲐᲛᲔᲢᲘ

ᲠᲝᲛᲐᲜᲘ

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲒᲝᲡᲘ

(ეს ახალი რომანი უწარჩინებულესი ევროპის მწერლისა საფრანგეთის პირველი რევოლიუციის დროინდელ ცხოვრებას შეეხება.

საუბედუროთ, ლონის ძიება არა გვაქვს, რომელზედაც მთელი ევროპა ლაპარაკობს, რომელიც თითქმის ყველა ევროპიელ ენებზე გადათარგმნილია. მაგრამ ამ ზოგი ერთი ადგილების წაკითხვაც დაარწმუნებს მკითხველს ამ რომანის სიმშვენიერეში და იმის ავტორის ნიჭის სიღრმეში.) ს. მ.

ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ.

ᲖᲚᲕᲐᲨᲘ

მაისის თვეა. 1793. ერთი ბატალიონი რესპუბლიკელების ჯარი ერთს ვანდეს ტყეში მიდის. ვანდე დეპარტამენტია საფრანგეთისა, რომელშიაც მოგროვილნი იყვნენ მონარხიის მომხრენი და საზოგადოთ ყველანი, ვისაც ახალი წყობილებისა, ახალი ცხოვრებისა და რესპუბლიკის წინააღმდეგობა უნდოდ. ბაუნათლებელს უმეცარ ხალხს ვანდესს ამაში მხარე უჭირავს. ეს ბატალიონი იმ ჯარის ნაწილია, რომელიც კონვენტმა ვანდეს არეულობის დასამორჩილებელად გამოგზავნა.

რისიმე დაწესება ისე ძნელი არ არის, როგორათაც იმისი კარგად წაყვანა და ხონის შკოლის საქმე თუ ცუდად წავიდა, ამაში მარტო საზოგადოება კი არ იქნება დანაშაული, არამედ ის პირიც, რომელმანც საქმე საქმე გამოიწყო, მაგრამ უბრალო მიზეზის გამო იმას თავის შემწეობა მოაკლო და თანაგრძნობა აღხადა. ამას ჩვენ იმ კორრესპონდენციისაგამო ვამბობთ, რომელიც „დროების“ № 413-ში იყო დაბეჭდილი და რომლის წინააღმდეგი ჩვენთვის აქამდისაც არაფრის მოუწერია. თუ იმ კორრესპონდენციაში ნათქვამი მართალია, ჩვენ რომ საზოგადოების ადგილს ეყოფილიყავით, სამადლობელს სიტყვას რომელიც უფ. ქდანოვისათვის უთქვამთ, დიდი უშველებელი საყვედურით შევაზავებდით.

—ქუთაისიდგან იწერებიან, რომ იქ ამ თვის თვრამეტს შინაური ლიტერატურული საღამო ყოფილა. ამ საღამოზედ ორმოცკაცამდე შეკრებილან. კითხვა დაუწყიათ სასაღამოს ცრხა საათზედ. წაუკითხ: ესთ: ილ. ჭავჭავაძეს— მგზავრის წერილები, მერმე ეტ. ბებური-შვილს—სცენები ხალხის ცხოვრებიდგან, ბოლოს „მეფე ლირი“— მთარგმნელს ილ. ჭავჭავაძეს. მსმენელები ძალიან კმაყოფილი დარჩენილან საზოგადოდ მთელი საღამოთი, განსაკუთრებით მოსწონებიათ „მეფე ლირის“ თარგმანი.

ჩვენც დავესწარით თფილისში „მეფე ლირის“ კითხვაზედ და მართალი უნდა ესთქვათ, თარგმანი სწორედ სამაგალითოა. არც ჩვენ და არც სხვებს არ გვეგონა, თუ ეს შესანიშნავი თხზულება ასე მშვენიერად გადმოიღებოდა ქართულს ენაზედ.

— 19 აპრილს თფილისის—ქალაქის პირველი განყოფილების მომრიგებელმა მსაჯულმა ბიბლიოტეკის მქონებელს უფ. ი. ივანოვს განუჩინა 150 მანეთი ჯარიმის გადახდა, ან, თუ გადახდას ვერ შეიძლებს, ორი თვით საპყრობილეში ჩასმა, იმის გულისათვის, რომ უფ. ივანოვს ბიბლიოტეკაში ორი ფრანცაზული და ერთი რუსული საწინააღმდეგო წიგნი უპოვეს ტიპოგრაფიებისა და წიგნთ-საცავების ინსპეკციამ.

— „სასოფლო გაზეთში“ სწერენ, რომ სოფ. ძეიშხეთს „ბლეხები ფულების შეკრებას შესდგომიან და სასოფლო ბანკის გაკეთებას ჰფიქრობენო. ამასთანავე „სასოფლო გაზეთი“ ამბობს, ბევრსა ჰგონია, რომ ჩვენი ბლეხი ისეთი გაუგებარი და სულელი რამ არისო, რომ რაც უნდა კარგი საქმის გამოწყება ურჩიო, იმის სარგებლობას მაინც ვერ გაიგებსო. ეს ახლანდელი და სხვა ამ გვარი ამბები გვიმტკიცებს, რომ ეს ზოგიერთების აზრი ყოვლად უსაფუძვლოაო; ეს იქიდამ სჩანს, რომ ჩვენს ბლეხობას აქამდის არსად ბანკი არ ჰქონია, არ გაუცვნია იმისი სარგებლობა, მაგრამ მაინც სცდილობს ამ საქმის დაწყებასო.

— ისევ გაზეთი გვაცნობებს, რომ ქახეთში ქარები გ ხშირებულა და ამის გამო ჯეჯილი ყოველგან გაფუჭდაო. ამას გარდა ცხვარსა და ზროხას ავათმყოფობა გასჩენია და თითქმის სანახევროდ დახოცილა.

— იმავე გაზეთში სწერენ, რომ ს. ავჭალას წყლის გამოყვანაზედ ლაპარაკობენო.

— იქვე სწერენ შემდეგ ამბავს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ეხლისება ჩვენს ხალხს სწავლა. მოხევეებიდგან ერთი კაცი ხევსურეთს ასულა საეკლოდ, იქ იმას თოფი მოსწრებია, გზა შეკრულა და ველარ დაბრუნებულა. სასმელ-საჭმელი, რაც თან ჰქონია, შემოლეფია. მისულა და ერთი სოფლისათვის უთქვამს, ამ ზამთარში როგორც იქნეს შემინახეთ და მაგიერად მე მუშაობაში მოგეხმარებითო. ბლეხებს უთქვამს, შენი არა გვინდა რა, ოღონდ წიგნი გვასწავლე და შეგინახავთო. ზამთრის განმავლობაში მთელს სოფელს კითხვა-წერა უსწავლია. სოფლის სახელი ვერ შეუტყვია „სასოფლო გაზეთს“, ამბობს კი, რომ ეს სოფელი ხახმატის მახლობლად არისო.

— ქ. ქუთაისიდგან მივიღეთ ჩვენ ერთი უსახელო კორრესპონდენცია, რომლის დაბეჭდვა გვთხოვენ. თუმცა კორრესპონდენცია დაწერილია თავის დასაცველად, მაგრამ უფ. კორრესპონდენტი თავის დაცვის მაგიერ უფრო სხვის გალანძღვას ჰკადრულობს და ამიტომ არ ვბეჭდავთ. მოვიყვანთ მხოლოდ იმ სიტყვებს, რომელიც ძალიან სწყენია ამ უსახელო კორრესპონდენტს:

სასოფლო გაზეთის № 2-ში დაბეჭდილი იყო შემდეგ შენიშვნა: „ამ უკანასკნელ ხანებში გვესმის, რომ თუშეთში კაცები გამოდიან, საფრანგეთში მატყლი მიაქვთ და ჰყიდიან. ამ გვარი საქმე მეტად კარგი რამ არის, ამიტომ რომ ეხლა თუშურ მატყლს ჯერ ქალაქში ვაჭრები ყიდულობენ, ან ადგილობრივ ჩვენ ხალხში კაცები ჰყავთ აქაიქა გაფანტული, იაფათა ყიდულობენ და მერე სხვა ქვეყნებში გააქვთ. რაც სარგებლობა მოაქვს მატყლს მატყლის მომყვანს კი არ ხვდება, წუწკ ვაჭრებსა რჩებათ. პირდა-პირ მყიდველზედ გაყიდვა დიდი სარგებლობა დარჩება და თუ სხვა ქვეყნებშიაც იარეს, ეს უმეტესად სიკეთეს შემატებს იმითი, რომ უცხო ქვეყნებში ბევრს კარგსა ნახავს და თავის სოფელში და მამულში იმის შეტანას მოინდომებს, ან თვითონ ან შვილებს ასწავლებინებს“.

ჩვენ ძალიან გვიკვირს რად ეწყინა უსახელო კორრესპონდენტს ამ შენიშვნის წაკითხვა. იმის უარს ხომ ვერ იტყვის, და არც ამბობს, რომ ვაჭარი ყოველთვის, იაფად ყიდვას და ძვირად გაყიდვას არ სცდილობდეს; თუ ასე არ იყოს ვაჭარი ვაჭრობას ხელს არ მოჰკიდებდა. ვერც იმაზედ იტყვის, ვგონებთ, უარს, რომ მწარმოებელს ყოველთვის იმდენად მეტი არ რჩებოდეს ხელში, რამდენათაც იმასა და მომხმარებელს შორის უფრო ცოტა შუამდგომელია. ვგონებ ერთს სიტყვას „წუწკს“ აუნთია უსახელო კაცი. მაგრამ საკვირველია, რათ მიიღო ეს სიტყვა თავის თავზედ, სასოფლო გაზეთი იმას ხომ არ ამბობს, რომ ყველა ვაჭარი წუწკია, წუწკი კაცი ვაჭრებშიაც არის და სხვა-წოდებაშიაც. „სასოფლო გაზეთისაგან“ ნახმარი სიტყვა“ „წუწკი“ მხოლოდ იმ უსინდისოებს მიეწერება, ვინც ხალხს ატყუებს, ან იმისი გაჭირვებული მდგომარეობით სარგებლობს და ვისაც ნაწარმოები თითქმის ტყუილად მიაქვს.

„დროების“ კორრესპონდენცია

დ. ყვირილა, 13 აპრილს 1874 წ.

მე დიდის ხნიდგან მსურდა მომელაპარაკნა ერთს საქმეზედ „დროების“ მკითხველებთან, მაგრამ შემაჩერა ერთმა იმედმა, რომელმაც ძვიელ მომატყუა....

წარსული ნოემბრის ოცი იყო, თუ მეტი, თუ ნაკლები, აღარ მახსოვს, ახალციხისკენ მივემგზავრებოდი და რასაკვირველია **დ.** ყვირილიდამ ხაშურამდის ცეცხლის ეტლით მივედით და მერმეთ კი ცხენების ეტლით მოგვიხდა მგზავრობა იქითკენ. მე ამ ეტლში ერთი გუმბრელი სომეხი მიჯდა გვერდით. ბევრი რაღა გავაგრძელო, მე იმისი და იმან ჩემი ვინაობა შავიტყვეთ, მოვყევით და ზოგი ქართულ და ზოგი სომხურ ჟურნალ-გაზეთებზედ ჩამოვაგდეთ ლაპარაკი. ამ საგანზედ ჩვენი ბაასი დაბოლოოდა, მაგრამ იმ სომეხმა ლაპარაკი კიდევ განაგრძნო. მე მამაო! მითხრა, ეს ათი დღეა, რაც მცხეთის ჩვენს დედა ქალაქში ვიყავიო! კარგი, მეც უპასუხე, მერმეთ? მერმეთ ის, რომ თქვენ როდისმე ხომ არ ჰყოფილხართო. მე უთხარი არ? და თანაც ამ სიტყვის თქმა მრცხვენოდა, მით უფრო, რომ მცხეთის გვერდით და სამხედრო შარაზედ ბევრჯელ გამივლია და არ მინახავს ისა. ეს ცხადათ ამტკიცებს ქართველი კაცის დაუდევნელობას და სიზარმაცეს და რომ მეთქო ვითომ ვაყავი თქო ტყუილათ, ესეც სინდისის გარეშე იქმნებოდა და ან გარეშეობას ვინღა დაგჯერებდა, გკითხავდა მაშინვე, თუ რა ნახე? როგორ ისიამოვნეთ? ან როგორ მოგეწონათ იქაურობა?. მე ამას ვერაფერს ვერ აუხსნიდი. მენავემ დამბაჩაზე დაიდვა ხელი.

— ღვდელი სად არის?

— ღვდელი?

— ჰო, ღვდელი. შენი ძმა ხომ უმოძღვროთ არ მოძიკლავს; არც შენ შეგიძლია უმოძღვროთ ჩემი მოკვლა.

— შუა ზღვაში მოძღვარს რა უნდა?

ამ დროს ზარბაზნის ქუხილი მოისმა.

— უმოძღვროთ იქ არავინ არ კვდებაო, სთქვა მოხუცებულმა და მეომარ ხომალდებისკენ გაიშვირა ხელი.

— მართალიაო, სთქვა მენავემ, ჩაღუნა თავი და დაფიქრდა.

— შენ ჩემი სული უნდა დაღუპო, მაგრამ უნდა იცოდე, რომ ჩემ სულთან შენი სულიც წაწყდება. გაიგონე. მებრალები. მოკვლავ თუ არა, ჩემთვის სულ ერთია: მე ჩემი მოვალეობა ავასრულე და ეხლა შენი დახვნა მინდა. დაფიქრდი: მე ღვთისა და წმინდა ეკლესიის იარაღი ვარ. ჩემი სიკვდილი ღმერთსა და ეკლესიას შეაწუხებს. წმინდა ეკლესიის, და ღვთის წინაშე აგებ პასუხს. მე და შენ აქ მოწამე არავინა გვყავს, მაგრამ ღმერთი გეხედავს ზეციდამ. ბოროტი საქმე განგიზრახავს. შეასრულე: მოვკალ. მე მოხუცებული ვარ, შენ ახალგაზდა. მე უიარაღო, შენ დაიარაღებული. მოვკალ.

აღელვებული მენავე ყურს უგდებდა მოხუცებულის ღაღადს. როდესაც ეს უკანასკნელი სიტყვა თქვა, მენავემ თავის დამბაჩა ზღვაში გადაისროლა, დაეარდა მუხლებზე და მტირალის ხმით დაიყვირა:

— მაპატიე, ბატონო! მე მტყუანი ვარ. ჩემი ძმა მტყუანი იყო. მიბრძანეთ, რაც გნებავსთ. მე თქვენი ყურ-მოჭრილი ყმა და მორჩილი მონა ვარ!

— მიპატიებიაო, სთქვა მოხუცმა.

დიდი ხნის ზღვაში ხეტიალის შემდეგ, ნავი ერთ ნაპირს მიადგება. მოხუცებული გამოეთხოვება მენავეს. ის ხედავს პატარა გორაკს; შედის იმაზე და აქედამ სოფლებს ათვალიერებს. სოფლებში რაღაც არა ჩვეულებრივი მოძრაობაა. ზარის ხმა მოისმის. ერთი მათხოვარი უხსნის იმას, რომ ეს სოფელში მარკიზ ლანტენაკის სამფლობელოაო. დაფიქრებული მოხუცელი გაჩერებულა და თავის სოფლებს შეჩერებია. რას უნდა მიეწეროს ეს ხალხის მოძრაობა და არა ჩვეულებრივი მოძრაობა! ნუ თუ რესპუბლიკელებს დაუპყრიათ იმის სოფლები. უეცრად იმის ფეხებთან ერთ აფიშას მოაქროლებს ქარი. მოხუცი უნებლიეთ ჩაიდებს ხელს ამ ქაღალდს და კითხულობს. იმაში გამოცხადებულია, რომ „ვინც ადრინდელ მარკიზ ლანტენაკს დაიჭერს და ან ცოცხალს ან მკვდარს წარუდგენს რესპუბლიკელების ჯარს იმას 60,000 ფრანკი ოქროს ფული მიეცემაო.“ ბოლოს ამ ქაღალდზე მოწერილი იყო: „როგორც კი ნამდვილად დავრწმუნდებით, რომ ის ნამდვილი ლანტენაკი იქნება, იმწამსვე გილიოტინით თავს მოვკვეთთ.— ხელმოწერილია ბატალიონის უფროსი—ბუვან.

— ბუვან! თქვა მოხუცმა და ჩაიშტერა თვალები აფიშას.

— ბუვან! ერთხელ კიდევ გაიმეორა. ის დაფიქრდა.

შორიდამ რაღაც ხმაურობა ისმის. ცოტა ხანს შემდეგ კარგათ გაარჩია, რომ იმის სახელს ყვიროდნენ. მოხუცებულს თითქო ფერი ეცვალაო.

— ლანტენაკ! მარკიზ დე-ლანტენაკ!

ერთი მინუტი არ გასულა, მოხუცებულს ათას ნაირად ჩაცმული და დაიარაღებული ხალხი შემოესია. ერთი იმათთაგანი წადგა წინ და უთხრა:

— ჩემო ღენერალო! შენ დაგეძებდით. ჩამიბარებია თქვენთვის უფროსობის რხმალი. ეს ჯარი ეხლა თქვენი ბრძანების მორჩილია. გიბრძანეთ, რაც გნებავთ.

ლანტენაკმა ჩამოართვა ხრმალი და დაიძახა:

— ბატონო! ეველამ გაიმეორა.

— რამდენი ხართ თქვენ? ჰკითხა შემდეგ ვეს. ის ხედავს პატარა გორაკს; შედის იმაზე და აქედამ სოფლებს ათვალიერებს. სოფლებში რაღაც არა ჩვეულებრივი მოძრაობაა. ზარის ხმა მოისმის. ერთი მათხოვარი უხსნის იმას, რომ ეს სოფელში მარკიზ ლანტენაკის სამფლობელოაო. დაფიქრებული მოხუცელი გაჩერებულა და თავის სოფლებს შეჩერებია. რას უნდა მიეწეროს ეს ხალხის მოძრაობა და არა ჩვეულებრივი მოძრაობა! ნუ თუ რესპუბლიკელებს დაუპყრიათ იმის სოფლები. უეცრად იმის ფეხებთან ერთ აფიშას მოაქროლებს ქარი. მოხუცი უნებლიეთ ჩაიდებს ხელს ამ ქაღალდს და კითხულობს. იმაში გამოცხადებულია, რომ „ვინც ადრინდელ მარკიზ ლანტენაკს დაიჭერს და ან ცოცხალს ან მკვდარს წარუდგენს რესპუბლიკელების ჯარს იმას 60,000 ფრანკი ოქროს ფული მიეცემაო.“ ბოლოს ამ ქაღალდზე მოწერილი იყო: „როგორც კი ნამდვილად დავრწმუნდებით, რომ ის ნამდვილი ლანტენაკი იქნება, იმწამსვე გილიოტინით თავს მოვკვეთთ.— ხელმოწერილია ბატალიონის უფროსი—ბუვან.

— ბუვან! თქვა მოხუცმა და ჩაიშტერა თვალები აფიშას.

— ბუვან! ერთხელ კიდევ გაიმეორა. ის დაფიქრდა.

შორიდამ რაღაც ხმაურობა ისმის. ცოტა ხანს შემდეგ კარგათ გაარჩია, რომ იმის სახელს ყვიროდნენ. მოხუცებულს თითქო ფერი ეცვალაო.

— ლანტენაკ! მარკიზ დე-ლანტენაკ!

ერთი მინუტი არ გასულა, მოხუცებულს ათას ნაირად ჩაცმული და დაიარაღებული ხალხი შემოესია. ერთი იმათთაგანი წადგა წინ და უთხრა:

— ჩემო ღენერალო! შენ დაგეძებდით. ჩამიბარებია თქვენთვის უფროსობის რხმალი. ეს ჯარი ეხლა თქვენი ბრძანების მორჩილია. გიბრძანეთ, რაც გნებავთ.

ლანტენაკმა ჩამოართვა ხრმალი და დაიძახა:

— ბატონო! ეველამ გაიმეორა.

— ეველა ერთ ენაზე ლაპარაკობ. ეველა ერთ ენაზე ლაპარაკობ. ეველა ერთ ენაზე ლაპარაკობ.

სნიდი და მტკუანი დაერჩებოდა. ამის მიზეზში ჩავარდნას იმის თქმა ვამჯობინე, რაც ზევით სწერია. ბანაგრძნო თითონ ამ პატიოსანმა პირმა: ენახე მცხეთა, მაგრამ ჯერ ამისთანა სანახავი არა მინახავს რა, თუმცა აქეთ-იქით ბევრს დავდივარო; სხვათა შორის მასიამოვნა ძრიელ იქ ურმა „საქალებო შკოლამაო“, რომელშიაც უფეველია უნდა გაიზარდნენ მომავალი ჩვენი დედებიო. ვნახე ეგრეთვე იმათი სწავლა, თუ რა უსწავლიათ, ნახელსაქმარევი, სხვა და სხვა შინაური პირუტყვების მოვლა და შენახვაო. ამათმა ყველამ მასიამოვნა ერთის მეტმაო. ეს ერთი რა იყო მეთქი, ვკითხე მე? ეს ერთი ის არის, რომ ბუნებით ენას ძრიელ ნაკლებ უგდებენ ყურსო და ვილაცა არის ის დალოცვილი ისრე ასწავლისო, რომ სწორეთ კაცი იმაში ვერას ფერს დაინახავსო. ეს მე ძრიელ მეწყინა, ან კი რა საწყენია, მარტო იქ კი არ არის ამისთანა ამბავი.

ეს განაგრძო იმ სომეხმა, მე უთხარი „მშაკის“ რედაქტორს და იმედი მაქვს, რომ გარდასცემს ამ ჩემს შენიშვნასა. ამის მიზეზმა გამაჩერა ამდენხან, რომ ვერა ვსთქვი რა, ჩემო ძვირფასო მკითხველო, და ეხლა კი ვამბობ: იქმნება საწყენათ დაურჩეს იმ მცხეთის „საქალებო შკოლაში“ ქართული ენის მასწავლებელს, მაგრამ რა ექნა, ვერ მოვითმინე და ვსთქვი და ნურას უკაცრავათ, და თუ გაჯავრდეს ეს ანდაზა მოიგონოს: „მოყვარეს პირში უძრაზე, მტერს პირს უკანო“ აი გონიერი ანდაზა. ჩემმა მეზობელმა სომეხმა ბოლოს დროს სთქვა, რაც შეძ-

---

ხელს და რწმუნდება, რომ თფილია; მაშ ჯერ მკვდარი არ უნდა იყოს. ბულ-გადაშლილ დედაკაცს ძუძუები რძითა აქვს სავსე. ოჩრი გლეხის დახმარებით, მათხოვარმა წაიყვანა ეს დედა-კაცი თავის ქოხში, იქნება როგორმე მოვასულიეროო.

ნაწილი მეოთხე

პარიჟში.

ეს ის დრო იყო, როდესაც პარიჟში ყველანი ქუჩაზე ცხოვრებდნენ. სუფრა კარების წინ შლიდნენ. ეკლესიების კიბეებზე დამსხდარნი ქალები დაჭილებისთვის კორპუსს ამზადებდნენ და თან „მარსელიეზას“ მღეროდნენ. მონსოს პარკში და ლიუქსამბურის ბაღში სალდათებს ასწავლიდნენ. ყველგან მუშაობა, ყველგან საომრად მზადება, სადაც არ გაიხედავდით, თოფებსა და ზარბაზნებს ამზადებდნენ. ბერმანიის ჯარი კარებზე იყო მომდგარი; ამბობდნენ, რომ პრუსიის კოროლს პარიჟის ოპერაში ლოჟა ჰქონდა ამორჩეული. ყველა ეჩქარებოდა. უკაკარდო ქუდს ვერ ნახავდით. ქალები ამბობდნენ: „წითელი ქუდის“ (რესპუბლიკელობისა და რევოლიუციონერობის ნიშანი) ჩვენ ძალიან გვშვენისო!..

ყველა ქუჩას თავის ჯარი ჰყავდა, ყველა ბატალიონს თავის დროშა... ...სახლი არ იყო, რომ რამდენიმე სხვა და სხვა ფერი განცხადება (აფიშა) არ ყოფილიყო მიკრული..... დიდები „გაუმარჯოს რესპუბლიკასო!“ ყვიროდნენ, პატარები „Ça ira“ და სხვა რევოლიუციურ სიმღერებს დამღეროდნენ... ქლუბებში და ქუჩებზე ორატორები... ორატორებში ბევრნი ოპატიოსნო იყვნენ. მაგრამ მომეტებული ნაწილი ხალხისა და თავისუფლების სასარგებლოდ ქადაგობდნენ. ამ უკანასკნელებს ეკუთვნოდა სიმურდანი..

—

სიმურდანი პატრი (მღვდელი) იყო. მთელი თავის სიცოცხლე სწავლა მეცნიერებაში გაატარა. მღვდლობიდამ გადადგომა არ შეეძლო, ის ცდილობდა ნამდვილ კაცად გმხდარიყო. ოჯახის უფლება წაართვეს, იმან სამშობლო იშვილა; ცოლის ყოლის უფლება წაართვეს, მთელი კაცობრიობა შეიყვარა. იმის ძმობლები გლეხები იყვნენ და ბღვდლად იჭიტომ გაძოზარდე, რომ გლეხობიდამ და უბრალო ხალხიდამ გამოსული იყო; სიმურდანი კი ხალხში შეეიდა... ჯერ კიდევ ახალგაზდა მღვდელი იყო, როდესაც

ლება მქონდა კიდევ ვეჩუქე შკოლასო და და წამოვიღო.

ერთ ამბავს კიდევ მოგახსენებთ: ამ დღეებში ჩხარს ერთი საწყალი 75 თუ 80 წლის კაცი, სომეხი ვაჭარი პ. ყ—შვილი, მოკლეს. მეორე დღეს მოვიდა ლეკრი თავის ფერშლით, რომელთაც გაჭრეს და დაშინჯეს კანონისა მებრ და თან გამომძიებელიც მოვიდა. მაგრამ ვერაფერი ვერ შეიტყეს... აი მკვლელობა როგორ მოხდა. თურმე საწყალს ჩვეულებათ ჰქონია, შინ რომ ვახშამს გიახლებოდათ, ნავახშმევს წავიდოდა და დუქანში დაწვებოდა ხოლმე. ქვირაცხოვლობის ღამესაც ვახშამს გიახლათ თუ არა, წავიდა დუქანში დასაძინებლად და როგორც გააღო თავის შინაური ალაყაფის კარები, იმ დროს გამოვარდა ორი, თოფი იყო თუ დამბაჩა კაცმა არ იცის, და საწყალი მოხუცებულიც დაეცემოდა ცხადია. მოხვედრილი ჰქონდა უკან ბეჭებში და წინ მკერდში გამოვარდნილ იყვნენ ტყვიები.

მეორე დილამდი აღარავის არა გაუგია რა. ყველას დუქანში ეგონა საწყალი მოხუცი. მერმეთ ეს მკვლელები ადგნენ გამოართვეს დაცემულს მკვდარს დუქნის გასაღები და წავიდნენ იმის მაგიერ დუქანში. აანთეს სანთელი და გამოაცოცეს რაოდენიმე თუმანი და თუმნების საღირალი ნივთები და წავიდნენ მშვიდობით.

ეს იყო საღამოს მეცხრე საათზედ და ვერავინ ვერ გაიგო და თუ მკვლელებს ეს ამბავი შერჩათ მეორეთ, უნდა იცოდეთ, სწორეთ დღე მოკვლენ კაცს, არ დაერიდებიან,

---

სიმურდანი ერთი დიდი თავადის (მარკიზის) ოჯახში მიიწვიეს აბაზინის მასწავლებელად. სიმურდანს თავის შაგირდი შეუყვარდა; სულითა და გულით მიეცა ის თავის ახალ მოვალეობას; ცდილობდა ამ თავადისშვილისაგან ნამდვილი კაცი გამოეყვანა. იმის შაგირდი ბუვანი იყო. ამ ყმაწვილს ბიძის მეტი არავინ ყავდა და ისიც მეფის მოამხრეებთან გაქცეულიყო. სიმურდანმა მშობლების მაგიერობა გაუწია ახალგაზდა ბუვანს.

მხლა სიმურდანი ერთი გამოჩენილ წევრთაგანია იმ რევოლიუციონერების კრებისა ანუ კლუბისა, რომელსაც „საეპისკოპოსო კრებას“ ეძახოდნენ, რადგან ესენი ძველ საეპისკოპოსო სადგომში იკრიბებოდნენ. პარიჟის ქომუნას (ქალაქის სამმართველოს) ამკრებს ეშინოდა, რადგან აქ უფრო გაცხარებული რევოლიუციონერებიიყვნენ, და ქონვენტს პარიჟის ქომუნისა.

—

პარიჟის ერთს სასტუმროში, 1793 წ. 28 ივნისს, სამი კაცი ისხდნენ სტოლთან. საღამოს რვა საათი იყო.

პირველი ამ სამ კაცთაგანი იყო ახალგაზდა, ფერ-მიხდილი, წმინდა ტუჩებიანი; ეს იყო სუფთად ჩაცმული, თმა დავარცხნილი; ცივი თვალებიანი; ხელებზე თათმანები ეცვა, სერთუკისა და პერანგის ღილები სულ შეკრული ჰქონდა; მაღალი ყელსახოვი და ვერცხლის ღილებიანი წაღები. დანარჩენ ორში ერთი მდევესა ჰგავდა და მეორე ჯუჯას. რომელიც უფრო დიდი იყო, უფრო ხალვათად იყო ჩაცმული, თმები აებუძგა, სახეზე ნაყვავილები ეჩნდა, წარბებ შუა ეტყობოდა, რომ ავი გულისა იყო და სქელ ტუჩებზე კი სიკეთილე ეწერა. დიდი კბილები, ლაზათიანი ხელები, მოელვარე თვალები. მეორე, პატარა კაცი უფრო ახალგაზდა იყო და დამჯდარი მახინჯს გვანდა. თავი უკან ჰქონდა გარდაწეული, თვალები დასისხლიანებული, სწორ გრძელ თმაზე ხელსახოცი ჰქონდა შემოხვეული, შუბლი სრულად არ უჩნდა; უშველებელი, საშიშარი ტუჩები.

პირველი ამ კაცთაგანი იყო რობესპიერი, მეორე დანტონი, მესამე მარა.

დანტონი წამოდგა, გაცხარებით გასწია უკან თავის სკამი და დაიყვირა:

— ბაიგონეთ, რესპუბლიკას გაჭირვება ადგია. მე მხოლოდ ეს ვიცი, რომ საფრანგეთს დახსნა სჭირია. ამისთვის ყველა საშუალება უნდა ვიხმაროთ, არცერთ საშუალებას არ უნდა შეუშინდეთ; დავაფრთხოთ, დავაფრთხოთ მტრები!

— მიც ეგ მინდაო, წყნარათ თქვა რობესპიერმა. საქმე იმაშია შეეიტყოთ: რომელია, ვინაა მტერი?

ამისთვის, განათლებულო საზოგადოებავ, ვისაც დაბალი ხალხის შეგჭირთ, უგდეთ ყური, რომ ამისთანა უბედურებები მოი პონ ჩვენში შემდეგისთვის მაინცა. ამის მომსპობი განათლებაა? და განათლება ჯერ ჩვენში არსაც არის და ყოველი კაცი გულგრილად მიჩერებია. როგორც სოფლის ხალხი ისე სხვებიც. ძალა დაატანეთ ხალხ, შკოლები გახსნან და იქმნება შემდეგში მაინც ავსცილდეთ ამ გვარ უბედურებას. სხვა, საზოგადოებას შეუძლიათ სთხოვოს მართებლობას, რომ იმ გვარი ქურდი და ცუდი კაცები, ვინაც იყვნენ სოფლებში, ყრილობის დანიშნულებით განუკითხავათ დაიკარგნენ, თორემ ჭეშმარიტად დაიღუპა ქვეყანა და ხალხი. ღამე რომ კაცს თავის სახლში ნადირის და სხვის არასფრის ეშინოდეს, გონიერის და სულიერის არსების კი ეშინოდეს, ამისთანა ცუდიც კიდევ იქმნება რამე? ეცადეთ, უშველეთ ამ სწავლის მიმდევს და მსურველს, ხალხს! ისრე სურსთ საწყლებს სწავლა, რომ ერთი კვირის უჭმელობას ირჩევს ერთი საათის სწავლისთვის, მაგრამ თითონ, როგორც ზევით მოგახსენეთ, არ იციან როგორ მოიქცნენ და სხვებიც ყურს არ უგდებენ..

ეს მკვლელობა რომ მოხდა. მეხუთე დღეს იმავე დაბაში, დღეთ 12 საათზე, ერთი კიდევ მცირედ შესანიშნავი ამბავი მოხდა. ერთს ბიჭს საჩოხე მატყლის შალი დაჰქონდა გასაყიდლათ და ცოტა იმაზედ მომეტებული ხნის ბიჭი შეხვდა წინ. ჰკითხა უმცროს ბიჭს, რომელსაც შალი დაჰქონდა, ჰყიდი ბიჭო შალსო? დიახ ეყიდიო! შომყიდეო? მიირთვიო! ფასი? შვიდი მანეთი! კარგი, მყიდველმა უთხრა, მოგცემო, აგერ ჩემი სახლი, წამყევი და ფულს მოგცემო. ბიჭი წაჰყვა. სახლი ვიღასაც იყო არც მყიდველმა და არც გამყიდველმა არ იცოდნენ. თურმე მყიდველმა უთხრა: მე ავი ძაღლები მყავს აქ დაიცადე, არ გიკბინონ, შინ შეელ, ფულებს აქ გამოვიტანო. წავიდა ის მყიდველი, მიდის, მიდის და დღესაც ისრე მიდის, როგორც რკინის მაშინა. ეს მეორე შემთხვევა კიდევ არა ფერი. პირველი უფრო შემაწუხებელია, როგორც საზოგადოებისთვის, ეგრეთვე ჭორის უფლისთვისაც. ეს ამბავი მთელმა ხალხმა და ამათში ერთი 8 წ. ყმაწვილი ამბობდა, წახდა ხალხი, ეს რა უბედურება უნდა იყოსო. იმაზედ უფროსები უფრო ფიქრობენ. ერე აქვს საწყალ ხალხს გული შეწუხებული, რომ დაწვებიან ღამე დასაძინებლად, მეორე დილისთვის აღარ გონიათ, თუ ცოცხალი აედგებითო. ვაი უბედურებავ! ვნახოთ სიდგან გვეშველება...

მ. სა. ჯ—ელი

ორიოდე სიტყვა

„დროების“ № 418, ქუთაისიდგან კორრესპონდენციაზე.

საზოგადოდ ყველასთვის ეხლა გასაოცარი ის უნდა იყვეს, რომ, ამ საუკუნეში მაინც, კაცს არ ესმოდეს კაცობრიობა და ის, რომ ციცერუე და ჭორიკნობა რა საძაგლობაა?! მაგრამ ეს უბედურება ამ ზემო ნა-

---

ოდა, მაგრამ გილოტინის გემო ნახა. აჰ, შენ მხრებსა სწევ? დანტონ, მე შენ გეუბნები, რომ ეგ შენი მაღალი ხმა, შენი ფართო ყელსახოვი, შენი ნაზი წაღები, შენი ღამის ქოფები და ეახშმები, შენი სქელი ჯიბეები,—სულ ეს ლუიზეტა (გილოტინას) შეეხება.

— და შენ, რობესპიერო, შენი ზომიერობა ვერას გიშველის. წადი, უმარული შეიცხე, თმა დაიგლიპე, გამოეკაზე! შენც მალე გაიცნობ ბრევის მაედანს!

(ბრევის მაედანზე გილოტინა იყო დადგული, რომლითაც დანაშაულებს თავს კვეთდნენ.

— ქობლენცის ჭურო! ჩაიბუტბუტა კბილებში რობესპიერმა.

(ქობლენცში იმ დროს ავსტრიის ჯარები და მონარხიელები იყვნენ მოგროვილი და პარიჟის დაც ემსემზადებოდნენ.)

— მე არავის ჭური არა ვარ, დიყვირა მარამ. ჩემის პირით ქვეყანა ლაპარაკობ! ჰა! თქვენ ახალგაზდები ხართ! რამდენი წლის ბრძანდები, შენ, დანტონო? ოცდათოთხმეტის. შენ, რობესპიერო? ოც და ცამეტის განა? მაშ, იცოდეთ, რომ მე თქვენზე უხნესი ვარ! მე ქვეყნის დაარსებიდ ძვე ცხოვრობ! ჩემში კაცობრიობის წვალება გახხორციელებულა, ექვსი ათასი წელიხა ვარ!

— ეს მართალიაო, სთქვა დანტონმა. ექვსი ათასი წელიწადია, რაც ქაინი კაცობიობის სიძულვილს არ განთავისუფლებია, და ეს ქაინი მარაა!

— დანტონ! დაიყვირა მარამ და თვალები სი ხლით აევსო.

— რა იყო? უპასუხა დანტონმა.

ამნაირად მუსაიფობდა ეს სამი კაცი. ეს იყო მეხების ჩხუბი.

ამ დროს კარები გაიღო და სიმუდრანი შემოვიდა. ყველანი გაჩუმდნენ და დამშვიდნენ. ცოტა ხანს შემდეგ საზოგადოება დაიშალა; სიმურდანს ეჭირა ხელში პატარა ქაღალდი, რომელზედაც ეწერა, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა აგზავნის იმას მმართებლობის წარმომადგენელ პირად იმ ჯართან, რომელიც ბუვანის ხელ ქვეშ მოქმედებს ვანდეს არეულობის დასამშვიდებლად. სიმურდანს სიკვდილ-სიცოცხლის სრული უფლება ჰქონდა მინიჭებული. ბუვანი გულ-ჩვილ, სუსტ კაცად მიაჩნდათ, სიმურდანს ზედამხედველობა უნდა ჰქონოდა, რომ ის დაუზოგველად მოქცეოდა ყველას, ვისაც ვანდეში დაიმორჩილებდა.

ს. მ.

ჩვენებმა კორრესპონდენციამ დღეს ცხადათ დაგვანახა.

საქმე ისე კი არ იყო, აი როგორ: უფ. თავს-მჯდომარის, სასწავლებლის ზედამხედველის, წინადადებაზედმეგანვაცხადე: „რომ საზღვარს გარეთ გაგზავნა (რუსეთში გაგზავნაზედ სიტყვაც არ იყო) კარგი არ იქნება; რომ სასულიერო სასწავლებლის წესდებაში სრულიენება ეძლევათ სასულიერო სემინარიის სტუდენტებს, ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლად ყოფნისა; არამც თუ სტუდენტებს, მეორე რაზრიდისასაც, თუ კი ნიჭიერად შეიძლებს სწავლებას; რომ ევროპაში ნასწავლი კაცი არ დადგება სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად არც ერთს დღეს იმ ჯამაგირით, რაც დღეს მას ეძლევა; რომ ევროპაში მასწავლებლების გასაგზავნათ და იქ ერთს წელიწადს სამყოფად სამეგრელოს საზღვდელოებას არ მოეძიება საშუალება: რადგან კაცი ავად-მყოფობასაც უნდა მოელოდეს, და მაშინ მისთვის დანიშნული ჯამაგირი მას ვერ შეინახავდა, მომატებულს კი ეველარ გაუგზავნიდა დაღარიბებული და ღონე გამოლეული საზღვდელოება; რომ ამ მოგზაურის სასწავლებელში დანიშნული საგანი დარჩებოდა უსარგებლოდ: რადგან ყოველი მასწავლებელი სცდილობს თავის საგნის კარგათ გადაცემას და ისიც, ხშირად, სვინიდისის მხილებით; თორემ ხან და ხან ამაშიაც სუსტობს; შესახებ სხვის საგნისა კი რამოგახსენოთ, და ისიც სამი, თუ ხუთი მასწავლებელი ერთსა და იმავე საგნიდგან, ნაწყვეტ-ნაგლეჯათ, ყველა თავს მეთოდით, ასწავლიდეს! ამათში რომ სუსტობას შეეიტყობდით, მაშინ რაღა ექნა სამმართველოს? და ბოლოს ის, რომ, თუ ეხლანდელი მასწავლებლები სუსტობენ, ეხლანდელის მოთხოვნილებისამებრ, საგნების სმენასა და გადაცემაში, მე თანახმა ვარ თითოეულის მათგანის გაგზავნაზე, თავის საქმისა და საგნის შესწავლისათვის, თფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომლის მეთოდა და საგნების შესწავლა საკმაო იქნება ყველა ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებლისათვის, და ისიც, ექვსის თვის ვადით, მეთქი.“ ამაზედ არავინ დამეთანხმა. მაგრამ არქიერმაკი ეს ჩემი ჰაზრი გადასწყვიტა და ბრძანა: „ეხლავ დაიწყონ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებმა, ზედამხედველიდგან წერის მასწავლებლამდის, რიგზედ წასელა თფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში და, პრაკტიკურად, შესწავლა როგორც საგნისა, ეგრეთვე მეთოდებისა, მხოლოდ სამის ან ექვსის თვის ვადით.“ საქმე ესე იყო და ასე გათავდა. აწი მე იმ ცრუპენტელა კორრესპონდენტს—ცქრიალა ბჭყალაძეს, დავარქმევ „კიბოსძეთ“ და თქვენ, პატიოსანნო „დროების“ მკითხველნო, რაც გენებოთ, ის უწოდეთ.

სამეგრ. სას. სასწ. სამმართველოს,
სამლედელოების მხრივ, წევრი,
ქანდელაკი მღვდ. რაჟდენ ბიგაუროვი.

ჭუთაისი.
19 აპრილს 1874 წ.

რუსეთი

— ვიატკის გუბერნიის ქოტელნიჩის მაზრის ერობას საქალებო გიმნაზიისათვის ამ წელს 1000 მანეთი შესაწეერი დაუნიშნავს. ამას გარდა 20,287 მანეთი სასოფლო მოლებისათვის გარდაუდვია. ქოტელნიჩის ერობის ხარჯით შარშან 32 შკოლა ყოფილა, აქედან ერთი თვითონ ქოტელნიჩის ქალაქში და 31 მაზრაში. ამ ოცდა თორმეტი შკოლისაგან 25 სავაჟო ყოფილა და შვიდი საქალებო. წელს კიდევ ორი შკოლის გახსნას აპირებენ და ამას გარდა ერთი მღვდლისაგან გახსნილი შკოლაც თავის ხარჯზედ მიუღიათ, ასე რომ წელს ამ ერთ მაზრაში 35 შკოლა არის ერობის ხარჯზედ.

— გაზეთებში სწერენ, რომ მმართებლობის განსახილველად შეტანილია რამდენიმე ერობის თხოვნა იმის თაობაზედ, რომ იმათ ნება მიეცესთ, ნაფიც მსაჯულებს ჯამაგირი გაუჩინონ იმ შრომისა და ხარჯისათვის, რომელსაც ისინი თავისი მოვალეობის ასრულების დროს სწევენ. ამას იმიტომ თხოულობენ, რომ ვინც ამ ნაფიცთაგანი გლეხია, იმას ძალიან ბევრი ხარჯი და ზიანი მოსდის ქალაქში მოსელით და იქ რამდენიმე ხანს დაყოვნებით.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი.

— ერთს ფრანცუზულ ჟურნალში დაბეჭდილია დეპუტატის პრადიეს წიგნი, რომლითაც ის რჩევას აძლევს ყველა პარტიებს, რომელნიც კი მონარხიის აღდგინებაზედ ჰფიქრობენ. ის ამტკიცებს, ჩვენ არ შეგვიძლიან, მონარხიის აღდგინების შესახებ ერთს გარდაწყვეტილებას დავადგეთო და ამ თანავე დაამატებს: მთელი მარჯვენა მხრის განყოფილებები რომ მჭიდროდ შეკავშირებული ვყვეთ, მაშინაც უმცირესობა ვიქნებითო ნაციონალურ კრებაში. ამიტომ ჩვენმა უძლურებამ უნდა გვაიძულოს, რომ წინააღმდეგი არ გაეუხდეთ იმისთანა მმართებლობის დაფუძნებას, რომელსაც შვიდ წელზედ მეტი სიცოცხლე ექმნესო. ეს არის ჩვენი მოვალეობა, რომელსაც ჩვენგან სინიდისი და პატივი მოითხოვს. ამ აზრით ამ დეპუტატს შეუდგენია თავისებური პლანი მმართებლობის დაფუძნებისა, რომელიც ძალიან მოსწონს გერცოგ ბროლის. ეურადღების ღირსია, რომ ამისთანა ზომიერი კაცები, როგორც პრადიე, შვიდი წლის რესპუბლიკას ურიგდებიან.

— ამბობენ რომ ოლმალის ბერცოგი გაზეთის გამოცემას აპირებს, რომელშიაც ის თურმე მუშა ხალხის მომხრეობის გამოჩენას ჰფიქრობს.

— ლეგიტიმისტები, ბონაპარტისტები და რადიკალები სცდილობენ, რომ ყველას თავის მიზნის უმჯობესობა დაუმტკიცონ. ლეგიტიმისტები ამბობენ ძველებურად: მხოლოდ კოროლი, თეთრ-დროშიანი კოროლი თუ დაიხსნის საფრანგეთს უბედურებისაგან, თორემ ესეს არის ჯურღმულში გადავარდებაო. ბონაპარტიელები ამბობენ: ჩვენი დახსნა მარტო პლებისციტს შეუძლიანო. აბა ეკითხოთ ხალხს, თუ მაშინვე იმპერია არ არჩიოს ყოველ გვარ მმართველობითს ფორმას. რადიკალების აზრით საფრანგეთის კეთილ გზაზე დაყენება მარტო მაშინ შეიძლება, თუ ეხლანდელი ნაციონალური კრება დაიშლება და სამუდამოდ რესპუბლიკა დაწესდებაო. თუ არა და შინაგანს ომს ჩვენ ვერ ავსცილდებითო. რაც უნდა მოჰყვეს ეხლანდელს საფრანგეთის მდგომარეობას, მისი დაღუპვა შეუძლებელია. იქნება რომელიმე პოლიტიკური წყობილება დაეცეს, მაგრამ თუ ხალხს თავისი წესრიგი აქვს, თუ ის იმითი ამაყობს და თავის სახელს აფასებს, ამ გვარი ცვლილებები მხოლოდ დროებითად ააშფოთებს მას. ცოტა ხნის მღელვარების შემდეგ ის ისევ ჭკუაში ჩავარდება და შრომით, ოიანხმობით და მშვიდობიანობით მოიპოვებს თავის ალაღრძინებელს საშუალებას.

გერმანია

— გერმანიის მმართებლობას ნემსებიანი თოფი შასპოს თოფზედ უცუდესად უცვნია და ამისგამო ძველი თოფის ბაგიერ სხვა თოფებით აიარაღებს თურმე ის თავის მხედრობას. ახალი თოფი, როგორც ამბობენ, ძლიერ მსუბუქია, სულ შვიდი გირვანქის წონა თუ იქნება. ბასატენიც უწინდელზედ უფრო მსუბუქია თურმე, ასე რომ თითოეულს სალდათს ორასი სროლა ტყვია-წამლის თან წაღება შეუძლიან. თოფი სროლილობს რვაასი მეტრის სიშორეზედ (მეტრი თითქმის ალაბ ნახევარია) და ნიშანში ნემსებიან თოფზედ უფრო კარგათ მიდის თურმე, მაგრამ ისე მომაკვდინებელი არ არის იმისი ტყვია, როგორს ნემსებიანი თოფის. მაგრამ რადგანაც დაჭრილი კაცი იმგვარათვე გამოუდეგარია ლაშქარში, როგორც მკედარი, და რადგანაც ეხლანდელს დროში ომი ისე ჩქარა თავდება, რომ მეომარ მხარეებს მორჩენილი დაჭრილების მოხმარებაზედ იმედი არ უნდა ქონდესთ, ამიტომ ეს უფრო ნაკლებად მომაკვდინებელი თოფი ნემსებიანზედ უცუდესად არ უნდა მიგვაჩნდესო, სწერენ მმართებ. მოამბეში. ამბობენ, რომ გერმანიის მმართებლობას 300 ათასი სალდათისთვის კიდეც დაურიგებია ეს ახალი გვარის თოფი.

ესპანია.

— რომიდგან სწერენ ერთ გერმანიულ გაზეთს, რომ რომის პაპა ძალიან უიმედოდ არის დონ-ქარლოსის გამარჯვებაზედო. იმას თურმე უთქვამს: შეიძლება დონ-ქარლოსი გამეფდეს, მაგრამ ტახტზედ რომ დიდ ხანს ვერ დარჩება, ეს უეჭველიაო.

— მადრიდიდამ იწერებიან, რომ დონ-ქარლოსის ჯარი კიდევ უფრო გამაგრებულა. მარშალი სერრანო განდგომილების დასამორჩილებელად ჰფიქრობს, რომ ყველა ჯარები ერთ ალაგას ებროს მდინარის პირას შეჰყაროს და საცა ქარლოსის მომხრეები მოქმედებენ იმ პროვინციებში 65 ათასი ჯარი გააგზავნოს.

განცხადება

Иосифъ Степановичъ Антоновъ съ душевномъ прискорбіемъ извѣщая о кончинѣ сына своего Антона, проситъ всѣхъ родныхъ и знакомыхъ пожаловать утромъ 27 Апрѣля 1874 г. на выносъ тѣла покойнаго изъ дома католической церкви (что въ церковной оградѣ).

„მაქვს პატივი ვაცნობო კავკასიელ მეპატრონეთა, რომ მე გავმართე ქ. ჭუთაისს ვაჭრობა საუკეთესო სამზღვარ გარეთელის და ადგილობრივის თვლების: ბოსტნეულისა, ეკონომიურისა და ყვავილოვანისა. ქალაქს გარეთ მცხოვრებთ მებაღეობის მოყვარეთ შეუძლიანთ მოიქცენ ჩემთან ბარათით და ყოველი მათი თხოვნა შესახებ თესლებისა აღსრულდება დაუყოვნებლივ. თესლების სია შეუძლიანთ ყველამ მოიპოვოს უფასოთ. ი. ა. ბარტონი.

განცხადება
თფილისის სავაჭრო ბანკისა

თფილისის სავაჭრო ბანკის სამმართველო აცხადებს საყოველთაო საცნობად, რომ ბანკი 11 იანვრიდგან 1874 წ., ცვლილების მოხდენამდის, ასის თავზედ შემდეგის ზომით იღებს და იხდის სარგებელს:

იღებს

1.) სესხზედ იმ სარგებლიან ქაღალდებში,
ა.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში იღებენ:
სამი თვით . . . . . 6 %
მექვსი თვით . . . . . 7 %
ბ.) რომელთაც სახელმწიფო ბანკში არ იღებენ:
სამი თვით . . . . . 7½ %
მექვსი თვით . . . . . 8 %

2.) სპეციალურს ხელად მიბარებულ ფულში, სარგებლიანი ქაღალდებით და ვექსილებით უზრუნველ-ყოფილს . . . . . 7 %

3.) ვექსილების დაცვლაში:
სამი თვით . . . . . 8 %
ცრა თვით . . . . . 8½ %

4.) საქონლის გირაოში:
რომელიც მოტანილია . . . . . 9 %
რომელიც გზაშია . . . . . 10 %

იხდის

1.) ხელად მიბარებულ ფულში . . . 5 %
2.) შესანახად მიბარებულში
ა.) მოთხოვნამდის . . . . . 5 %
ბ.) ექვსი თვით. . . . . 5 %
გ.) ერთი წლით . . . . . 6 %
დ.) წელიწადზე მეტის ვადით მიბარებულში—სამმართველოსთან მორიგებით.

სამთავნოდ შესანახი ფული მიიღება: ყველა კერძოობითი პირისაგან, მოვაჭრე საზოგადოებათაგან და კომპანიებისაგან, ეკკლესიებისა და მონასტრებისაგან, სახაზინო და საზოგადობრივს დაწესებულებათაგან,—ას მანეთზედ არა ნაკლები.

ბანკში შენახული ფულების ბილეთები, ფინანსთ-მინისტრის განკარგულების თანახმად, ყველა სასამართლოებში და სახაზინო სამმართველოებში იჯარისა და შეკრულობის გირაოდ მიიღებიან: უვადო და ექვსთვემდის ვადიანი—მანეთი მანეთად და ერთის წლის და მეტის ხნით ვადიანი—ცოტა ნაკლებათ. ფოჩტით გამოგზავნილს შესანახს ფულს შემდეგი განცხადება უნდა მოჰყვეს:

ВЪТИФЛИССКІЙ КОММЕРЧЕСКІЙ БАНКЪ

Отъ такого-то

ОБЪЯВЛЕНІЕ

Препровождая при семъ столько то рублей, прошу принять эту сумму на вкладъ для обращенія изъ процентовъ на такой то срокъ (или до востребованія, или на такихъ то условіяхъ) и выслать билетъ на мое имя или на имя токого то, или на предъявителя,) по такому то адресу.

Число, мѣсяцъ и годъ. Подпись и мѣстожительство.

СТРАХОВОЕ ОБЩЕСТВО

„ЯКОРЬ“

въ Москвѣ

Основной и вполнѣ взнесенный капиталъ 2,500,000 р. с.

Правленіе:

Предсѣдатель: Е. И. Барановскій

Директоры: Е. И. Бискупскій. К. К. Банза. Н. И. Ильинъ. Н. А. Абрикосовъ.

Уполномоч. управляющій Д. А. Сенковичъ.

Тифлисское агентство Общества открыто съ 9-го апрѣля и принимаетъ:

1) Застрахованіе отъ огня движимаго и не движимаго имущества всякаго рода.

Общество вознаграждаетъ за всѣ пожарные убытки, происходящіе отъ несчатныхъ случаевъ, не исключая и молніи, а равно за убытки, причиненные застрахованнымъ имуществамъ тѣми мѣрами, принятіе коихъ было необходимо для потушенія, или предупрежденія пожара, а также и за произведенные страхователемъ, по спасенію имущества, необходимые расходы, согласно уставу Общества.

2) Застрахованіе транспортовъ на пути по всей Россіи и Европѣ.

Страхованіе начинается съ минуты пріема товара дорогою и оканчивается съ выдачей онаго получателю на мѣстѣ прибытія.

Общество отвѣчаетъ также за кражу и пропажу транспортовъ на пути на особыхъ условіяхъ.

3) Застрахованіе капиталовъ (жизни) и доходовъ.

Такса преміи ниже, чѣмъ въ другихъ обществахъ и расходы на освидѣтельствованіе докторомъ и другіе—Общество принимаетъ на себя.

4) Въ непродолжительномъ времени будетъ введено застрахованіе посѣвовъ отъ ГРАДОБИТІЯ.

Агентство помѣщается на Эриванской площади, въ домѣ городскаго зданія, въ Тифлисѣ. Агенты Х. Хачатурьянъ и І. Теръ-Григорьянъ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Апрѣля 1874 г. მელიქიშვილის და ამხ. სტამბა ბამომცემელნი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე.